აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

07 ივნისი 2016 წელი **ქ. ბათუმი**

16⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე და თორნიკე მჟავანაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე მჟავანაძემ და არჩილ მიქელაძემ.

თორნიკე მჟავანაძემ კომისიას შესთავაზა საარჩევნო ადმინისტრაციის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის დღის წესრიგში დამატება, ან ინფორმაციის სახით მისი მიმდინარე, ან მომდევნო სხდომაზე განხილა.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, აღნიშნა, რომ კომისიამ, უსკოს აპარატის შესაბამის სამსახურებთან ერთად საკითხთან დაკავშირებით შემდგომი სხდომისათვის განხილვის მიზნით დაიწყოს პროცედურა, რის შემდეგაც, წარადგინა დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება - კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ;

2. დადგენილება - მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე;

3. დადგენილება - უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

5. განკარგულება - უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობისა და სახელფასო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ;

6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება - კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ;

2. დადგენილება - მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე;

3. დადგენილება - უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

5. განკარგულება - უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობისა და სახელფასო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ;

6. სხვადასხვა.

1. დადგენილება

კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებს გააცნო კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში იქმნება კომპიუტერული

უზრუნველყოფს დროებითი სამსახური, მან აღნიშნა, რომ კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა განპირობებულია იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნულმა სამსახურმა არჩევნების პერიოდში უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნებისათვის შეიქმნას საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზები, მოახდინოს არსებული კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიური განახლება და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური.

მუხლი 2. კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:
კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის მუშაობის გამართულობას არჩევნების პერიოდში;

გ) ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს უსკოს აპარატში;

დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს;

ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;

ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიფიცირებას;

ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;

თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;

ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამისი წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;

კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;

ლ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს;

მ) კონსულტაციას უწევს კომისიის წევრებს, აპარატის თანამშრომლებსა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით;

ნ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა პირადი ნომრებისა და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;

ო) ახორციელებს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების და ნიმუშების კომპიუტერულ დამუშავებას;

პ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიურ განახლებას;

ჟ)კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საარჩევნო კოდექსით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, შინაგანაწესით,

საქართველოს სხვა კანონებითა და სამართლებრივი აქტებით;

რ) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

მუხლი 3. ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დგინდება მხარდამჭერთა სიების შევსების და შემოწმების პროცედურები. სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში, რის შემდეგაც, კომისიას შესთავაზა, დადგენილების პროექტში მე-2 მუხლად მისი ძალაში შესვლის და მოქმედების ვადის განსაზღვრა კერძოდ: - დადგენილების პირველი მუხლის (მუხლი 1. დამტკიცდეს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესი, დანართის შესაბამისად.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან ამოქმედება, ხოლო მისი მოქმედების ვადად ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით განსაზღვრა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების (შესწორებების) გათვალისწინებით

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(თან ერთვის)

3. დადგენილება

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი:

შრომის ანაზღაურება _ 2 319 743 ლარი;
საქონელი და მომსახურება _ 888 840 ლარი;
არაფინანსური აქტივები _ 8000 ლარი;

სულ _ 3 216 583 ლარი.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12

მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე თვეში გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს თვეში გასაცემი თანხის არაუმეტეს 75%-ის ოდენობისა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე თვეში გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გასაცემი თანხის არაუმეტეს 75%-ის ოდენობისა.

3. დანამატი გაიცეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის 03 ივლისის №1 განკარგულება.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

5. განკარგულება

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობისა და სახელფასო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობისა და სახელფასო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: რამაზ გოლომანიძემ და არჩილ მიქელაძემ.

რამაზ გოლომანძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით წარმოდგენილ დანართში „შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობის და სახელფასო განაკვეთი“ სტრიქონი №6 „საკადრო სამსახური“ ერთეულის რაოდენობის გრაფაში 2 გამოაკლდეს 1 და ჩაიწეროს ერთეულის რაოდენობა 1, ხოლო სტრიქონი №2 „საორგანიზაციო სამსახური“ ერთეული რაოდენობის გრაფაში ნაცლად 2-სა დაემატოს კიდევ 1 და ჩაიწეროს ერთეულის რაოდენობა 3, რის შემდეგაც, მოითხოვა განკარგულების პროექტის დანართში აღნიშნული ცვლილების შეტანა და მისი კენჭისყრაზე დაყენება.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა კომისიის წევრის რამაზ გოლომანიძის წინადადება განგარგულების პროექტის დანართში („შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობის და სახელფასო განაკვეთი“ სტრიქონი №6 „საკადრო სამსახური“ ერთეულის რაოდენობის გრაფაში 2 გამოაკლდეს 1 და ჩაიწეროს ერთეულის რაოდენობა 1, ხოლო სტრიქონი №2 „საორგანიზაციო სამსახური“ ერთეული რაოდენობის გრაფაში ნაცლად 2-სა დაემატოს კიდევ 1 და ჩაიწეროს ერთეულის რაოდენობა 3) ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 2;
წინააღმდეგი 3;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ერთმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობისა და სახელფასო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა დადგინდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულების №1 დანართით გათვალისწინებული, შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად დანართისა.

3. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **თამარა ხოზრევანიძე**